

## რაარის სელშეკრულება?

ხელშეკრულება არის სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს, ანუ ადამიანებს, ადამიანსა და ორგანიზაციას (იურიდიულ პირს), ან ორგანიზაციებს (იურიდიულ პირებს) შორის დადებული შეთანხმება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის თაობაზე.

თითოეული მოქალაქე (ფიზიკური) ან იურიდიული პირი ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებს დებს ისე, რომ ვერც კი ათვითცნობიერებს ამას. მაგალითად, როცა პურს ვყიდულობთ, ამ დროს ზეპირი ფორმით იდება ნასყიდობის ხელშეკრულება პურის გამყიდველსა და მყიდველს შორის. ხელშეკრულება შეიძლება მივიჩნიოთ მოქალაქის და იურიდიული პირის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთ-ერთ სამართლებრივ საშუალებად. ხელშეკრულებას მხარეები დებენ იმიტომ, რომ რაიმე სარგებელი მიიღონ.

ხელშეკრულება აუცილებელია, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი ინტერესების დაცვა სხვადასხვა სახის სამოქალაქო ურთიერთობებში.

## რომელი კანონით რეგულირდება ხელშეკრულება და რასახის ხელშეკრულებები შეიძლება დავდოთ?

ხელშეკრულების შესახებ ზოგადი დებულებები მონწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის ზოგადი ნაწილით, რომელიც ვალდებულებით სამართალს ეხება (სამოქალაქო კოდექსის 316–476-ე მუხლები).

ხელშეკრულება შეიძლება იყოს ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, ქირავნობის, ლიზინგის, იჯარის, სასოფლო-სამეურნეო იჯარის, ფრენშაიზინგის, თხოვების, სესხის, ნარდობის, ტურისტული მომსახურების, გადაზიდვა-გადაყვანის, დავალების, კომისიის, საკუთრების მინდობის, სატრანსპორტო ექსპედიციის, შუამავლობის, ჯილდოს საჯაროდ დაპირების, მიბარების, დაზღვევის, საბანკო მომსახურების, თავდებობის, კონტოკორენტის. სამოქალაქო კოდექსში არ არის მოცემული ხელშეკრულების სახეების ამომწურავი ჩამონათვალი და ეს შეუძლებელიცაა, რადგან ხშირად მხარეები ისეთ შეთანხმებებს აღწევენ, რომლებიც არცერთი კონკრეტული ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული. ქონებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ამის უფლებას აძლევს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ამბობს, რომ მხარეებს უფლება აქვთ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

## ვინ არიან ხელშეკრულების მხარეები და რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ მათ?

სამოქალაქო ხელშეკრულება იდება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის. კერძო სამართლის სუბიექტები შეიძლება იყვნენ მოქალაქეები (ფიზიკური პირები) და იურიდიული პირები (შპს, სს, კს და ა.შ).

ხელშეკრულების მხარეები, იგივე კონტრაპენტები არიან **კრედიტორი** და **მომვალე**.

**კრედიტორს** აქვს შესრულების მოთხოვნის უფლება მოვალისაგან, ხოლო **მომვალე** ვალდებულია კრედიტორის მოთხოვნისთანავე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

## რაიგულისხმება ხელშეკრულების თავისუფლებაში და ხართთუარავალდებული დადოთ ხელშეკრულება?

სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულია და მოქმედებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. ამ პრინციპის არსი იმაშია, რომ პირი, ვისაც სურს რაიმე ხელშეკრულების დადება, თვითონ იღებს გადაწყვეტილებას ვისთან დადოს ეს ხელშეკრულება; მხარეები თვითონ არჩევენ ერთმანეთს. ისინი ხელშეკრულებით ერთმანეთს ანიჭებენ გარკვეული მოთხოვნის უფლებას, ნებაყოფლობით კისრულობენ ვალდებულებას, შეასრულონ ესა თუ ის მოთხოვნა. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე, ხელშეკრულება არ დაიდება. თუ პირს ძალდატანებით, იძულებით ან მოტყუებით დაადებინეს ხელშეკრულება, მაშინ ასეთი ხელშეკრულება ბათილია, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ პირმა სარჩელით მიმართოს სასამართლოს, ხოლო სასამართლომ დადასტურებულად უნდა ცნოს ხელშეკრულების დადებისას მხარეთა თავისუფლების და ნების ავტონომიის პრინციპის დარღვევა.

## შეიძლება თუ არა ხელშეკრულების დადების თავისუფლების შეზღუდვა ან ვინმეს დავალდებულება ხელშეკრულების დასადებად?

მხარეებს ხელშეკრულების დადების თავისუფლება შეიძლება შეეზღუდოთ მხოლოდ და მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ზოგჯერ ხელშეკრულების დადებისთვის შეიძლება აუცილებელი იყოს სახელმწიფოს ნებართვა, მაგალითად, როდესაც საჭიროა საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვა. სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულების იმ მხარეს, რომელსაც დომინირებული მდგომარეობა უკავია ბაზარზე, აიძულებს საქმიანობის ამ

სფეროში ნებისმიერ პირთან დადოს ხელშეკრულება. მას არ შეუძლია მეორე მხარეს (ანუ კონტრაპენტს) უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები. მაგ. თბილისის მეტროპოლიტენს არა აქვს უფლება, რომელიმე მგზავრს უარი უთხრას მეტროთი მგზავრობაზე, ან მეტროს რომელიმე სადგურზე მგზავრობის უფრო მაღალი საფასური დაანწესოს.

## აქვს თუ არა იურიდიული ძალა მეგობრებს შორის დადებულ მეგობრულ შეთანხმებას?

ხელშეკრულება, როგორც მხარეთა შეთანხმება, განსხვავდება ჯენტლმენური ან მეგობრული შეთანხმებისაგან. ასეთი შეთანხმების დროსაც მხარეები თანხმდებიან კონკრეტული მოქმედების შესრულებაზე, მაგრამ ამ შეთანხმებას იურიდიულად სავალდებულო ხასიათი არა აქვს. მეგობრული შეთანხმების დროს მხარეები მოქმედებენ არა სამართლებრივ ფარგლებში, არამედ მეგობრობის ურთიერთობიდან გამომდინარე. მეგობრული შეთანხმება ძალიან ჰგავს ისეთ უსასყიდლო ხელშეკრულებებს, როგორიცაა თხოვება, უპროცენტო სესხი და ა.შ.

ჩვეულებრივი ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, მეგობრული შეთანხმების მონაწილეებს არა აქვთ უფლება, ერთმანეთს მოსთხოვონ მისი შესრულება იძულების წესით, ან შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

## როდისჩაითვლება ხელშეკრულება დადებულად და რასნიშნავს ხელშეკრულების არსებითი და სტანდარტული პირობები?

სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუკი მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

ხელშეკრულების არსებით პირობებს მიეკუთვნება ხელშეკრულების სახე, საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ამ უფლება-მოვალეობების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ღონისძიებები და ა.შ. ხელშეკრულების არსებითი პირობების ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება შეუძლებელია, რადგანაც მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, ერთმანეთს რა სახის კონკრეტულ პირობებს წაუყენებენ. თუმცა, ნებისმიერი ხელშეკრულებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მხარეებმა ზუსტად განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების საგანი, ანუ ის, თუ რის თაობაზე იდება ხელშეკრულება. ზოგჯერ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წინასწარ აქვს განსაზღვრული პირობები,

რომელთა გათვალისწინება აუცილებლად მიაჩნია მხარეთა მიერ შეთანხმებულ არსებით პირობებთან ერთად. ასეთ პირობებს ეწოდება **სტანდარტული პირობები** და მრავალჯერადი გამოყენებისთვისაა გამიზნული, რადგანაც ისინი მხოლოდ ერთი ხელშეკრულების დადებისთვის არაა შემუშავებული. მაგ. სუპერმარკეტ “ბაბილონში“ თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული წარწერა: „გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება,“ ან კიდევ მობილური კავშირის სატელეფონო კომპანია „ჯეოსელს“ წინასწარ აქვს მომზადებული სახელშეკრულებო ფორმულარი, რომელშიც ჩამოყალიბებულია თავისი პირობები და თუ კლიენტისთვის მისაღებია ეს პირობები, მას შეუძლია დაეთანხმოს და ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებას. ამასთან, შესაძლებელია ისინი ადგილზე შეთანხმდნენ სატელეფონო მომსახურების სხვა პირობებზეც, რომლებიც აღნიშნულ ფორმულარში მოცემული არ არის.

## როგორ(რ)ფორმით უნდა დაიდოს ხელშეკრულება?

ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. თუ მხარეები შეთანხმდებიან წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით. მაგრამ ისეთი სახის ხელშეკრულებისათვის, რომლებიც ეხება მიწის ნაკვეთის, საცხოვრებელი სახლის, შენობა-ნაგებობების (უძრავი ქონების) ნასყიდობას ან ჩუქებას, ხელშეკრულების ნამდვილობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების შედგენა, რადგან სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ (იმპერატიულად) მოითხოვს, რომ ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემაზე ან მის შექენაზე, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

ზოგჯერ უძრავი ქონების ნასყიდობის ან ჩუქების ხელშეკრულების მხარეები არ ითვალისწინებენ კანონის ამ მოთხოვნას და ზეპირად თანხმდებიან, ვთქვათ, ბინის ნასყიდობის თაობაზე, რის საფუძველზეც მყიდველი უხდის ბინის მესაკუთრეს შეთანხმებულ ღირებულებას, ხოლო გამყიდველი გადასცემს ბინას მყიდველს, რომელიც შემდგომ წლების განმავლობაში ცხოვრობს ამ ბინაში, მაგრამ, სინამდვილეში, იგი არ წარმოადგენს ამ ბინის მესაკუთრეს, რადგან მას ბინის გამყიდველთან არ გაუფორმებია სანოტარო წესით დამტკიცებული ნასყიდობის ხელშეკრულება და საჯარო რეესტრში ბინის მესაკუთრედ კვლავ ბინის გამყიდველია რეგისტრირებული. თუ შემდგომში ბინის გამყიდველი უარს იტყვის ნასყიდობის ხელშეკრულების კანონით დადგენილი წესით გაფორმებაზე, ხოლო

მყიდველი სარჩელით მიმართავს სასამართლოს და ამ გზით მოითხოვს ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობას, სასამართლოს უფლება არა აქვს, დააკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნა, რადგან სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და, შემდგომ, შემქენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, უძრავი ქონების (საცხოვრებელი სახლის, მიწის ნაკვეთის) შემქენს გამყიდველისაგან გადახდილი თანხის უკან დაბრუნება შეუძლია სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლების საფუძველზე, რომლებიც უსაფუძვლო გამდიდრების ურთიერთობას აწესრიგებენ, კერძოდ, 976-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელშიც ჩამოყალიბებულია *ვითომ კრედიტორისაგან* მოთხოვნის საფუძვლები.

ზოგიერთი ხელშეკრულების ფორმა დამოკიდებულია იმაზე, ამ ხელშეკრულების საგანს მოძრავი ნივთი წარმოადგენს, თუ უძრავი. მაგალითად, მოძრავი ნივთის (ტელევიზორის) ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმით და ეს ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან. მაგრამ თუ ჩუქების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს უძრავი ქონება, დასაჩუქრებულს საკუთრების უფლება წარმოეშობა მხოლოდ ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

## რას ნიშნავს

**ქუჩაში დადებული ხელშეკრულება?** სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლის თანახმად, მომხმარებელსა და საკუთარი სარენის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი წერილობით არ უარყოფს ამ ხელშეკრულებას ერთი კვირის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე. აღნიშნული მუხლი არ ეხება ბაზრობაზე, ქუჩაში დროებით მოწყობილ სავაჭრო ობიექტებზე მომხმარებლის მიერ ნივთის შექენას. მაგალითად, თუ პირი შეიძენს რუსთაველის გამზირზე, მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გამოფენილ წიგნებს, ეს არ იქნება ქუჩაში დადებული ხელშეკრულება, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე გარკვეული ხანია, რაც წიგნების ბაზრობაა მოწყობილი და მყიდველი იქ სპეციალურად მიდის სასურველი წიგნის შესაძენად. ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებასთან საქმე გვაქვს მაშინ, თუ, მაგალითად, ადამიანს სადარბაზოსთან შემთხვევით შეხვდება პირი, რომელიც

შესთავაზებს საკაბელო ტელევიზიის კაბელის დამონტაჟებას, ან მაცივრის შექენას და ის დათანხმდება, ვთქვათ, საკაბელო ტელევიზიის დამონტაჟებაზე.

## როგორ ხდება

**ხელშეკრულების შეწყვეტა?** ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გარკვეული წესების დაცვით (სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 360-ე და 405-ე მუხლები). ცალკეული ხელშეკრულებების მიმართ სპეციალურადაა გათვალისწინებული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის წესიც. მაგალითად, საცხოვრებელი სადგომის დამქრავებელი უფლებამოსილია ვადამდე მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება, თუ ამის შესახებ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს გამქრავებელს და შესთავაზებს მას გადახდისუნარიან და მისაღებ დამქრავებელს, რომელიც თანახმაა ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქრავებული.

## რა არის შრომის ხელშეკრულება?

სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, უნდა განვასხვაოთ შრომის ხელშეკრულებისგან (კონტრაქტი). შრომის ხელშეკრულების ძირითადი პირობები მოწესრიგებულია არა სამოქალაქო კოდექსით, არამედ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით. შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) არის შეთანხმება საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინიტრაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე — საწარმოს, დაწესებულების ადმინისტრაცია — ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მუშაკი შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს ხელფასი იმ ოდენობით, რაც შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე — მუშაკი — ვალდებულებას იღებს შეასრულოს გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვას შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობები, დაემორჩილოს შრომის შინაგანანქესს. ამდენად, შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სპეციალურ სუბიექტებს შორის, სადაც სამოქალაქო ხელშეკრულებისგან განსხვავებით, ადმინისტრაციისა და მუშაკის ურთიერთობა სრულ თანასწორუფლებიანობის პრინციპზე არ არის დაფუძნებული,

შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს 3 წლისა), ან კიდევ გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით.

თუ შრომის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით არის დადებული, ვთქვათ, ერთი წლით, ხოლო ამ ვადის გასვლის შედგომ შრომითი



ურთიერთობა ფაქტიურად გრძელდება და არც ადმინისტრაცია და არც მუშაკი არ მოითხოვს მის შეწყვეტას, ასეთი ხელშეკრულების (კონტრაქტის) მოქმედება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

შრომის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და იგი ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. მუშაკის სამუშაოზე მიღება ფორმდება ადმინისტრაციის ბრძანების (განკარგულების) მიღებით. შრომის ხელშეკრულება შეიძლება დადებულად ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც, როცა ადმინისტრაციის მიერ ბრძანების გამოცემამდე მუშაკი ფაქტიურად მიღებული იყო სამუშაოდ იმ თანამდებობის პირის მიერ, ვისაც ამ სამუშაოზე მიღებისა და გათავისუფლების უფლება აქვს.

შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) დადებისას საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია, მოსთხოვოს მუშაკს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შრომის წიგნაკი, ცნობა ადრინდელი საქმიანობის შესახებ, განათლების დამადასტურებელი საბუთი, სამხედრო ბილეთი, აგრეთვე, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, თუკი ამ უკანასკნელს ითვალისწინებს სამსახურის სპეციფიკა. შრომის კანონთა კოდექსით აკრძალულია სამუშაოზე მისაღები პირისგან კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი დოკუმენტის მოთხოვნა.

## როგორ ხდება შრომის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა?

შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლში ამომწურავადაა ჩამოთვლილი ის შემთხვევები, როცა ადმინისტრაციას უფლება აქვს, თავისი ინიციატივით შეუწყვიტოს მუშაკს განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება.

ყველა სხვა შემთხვევაში, მუშაკის გათავისუფლება ჩაითვლება უკანონოდ და იგი უნდა აღდგეს სამუშაო ადგილზე. რაც შეეხება ვადით დადებულ ხელშეკრულებას, აქ თავად ხელშეკრულებაში უნდა იყოს მითითებული, თუ რა გარემოებების დადგომის შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს კონტრაქტის მოქმედება.

მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ